გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს კანონში „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი“ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ.

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვადასხვა მუხლების ერთმანეთთან შეუსაბამობა და რიგი მნიშვნელოვანი პროცესუალური საკითხების მომწესრიგებელი საკანონმდებლო ნორმების არარსებობა. აგრეთვე, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირის ბრალდების საქმეზე, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის წესის პრაქტიკული პრობლემები. ამ პრობლემების გადაუჭრელობა ხელს უშლის მართლმსაჯულების ობიექტურად განხორციელების პროცესს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არსებული ხარვეზებისა და სხვადასხვა მუხლებს შორის არსებული წინააღმდეგობების აღმოფხვრა, პრაქტიკაში წარმოშობილი დაურეგულირებელი საკითხების საკანონმდებლო მოწესრიგება. აგრეთვე, თანამდებობის პირთა ბრალდების საქმეებზე სასამართლო განხილვის და მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფა, რაც საშუალებას მისცემს მართლმსაჯულებას გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

120-ე მუხლის ცვლილებაზე

2012 წლის 22 ივნისს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილში განხორციელებული ცვლილების თანახმად, საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, გადაუდებელი აუცილებლობისას შეიძლება ჩატარდეს მოსამართლის განჩინების გარეშე და ასეთ შემთხვევაში საჭირო აღარ არის გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანა. მიუხედავად სისხლის სამართლის

საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებისა, საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლი - „ამოღებისა და ჩხრეკის წესი“, ჩხრეკის ან ამოღების გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარებისას მაინც ითვალისწინებს გამომძიებლის მიერ დადგენილების გამოტანას. სსსკ-ის 120-ე მუხლიდან სიტყვა „დადგენილების“ ამოღება შესაბამისობაში მოიყვანს ამოღებისა და ჩხრეკის ჩატარების წესს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სხვა ნორმებთან და აღმოფხვრის უზუსტობას.

147-ე მუხლის ცვლილებაზე

ხშირ შემთხვევაში პირისაგან ნიმუშის ნებაყოფლობით აღება შეუძლებელია, ვინაიდან იგი უარს აცხადებს მისგან ნიმუშის აღებაზე ან მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ნიმუშის აღებაზე თანხმობის მიღება შეუძლებელია (მაგ.: ავტოავარიის ან მკვლელობის მცდელობის დროს იგი იმყოფება უგონო მდგომარეობაში და საჭიროა მისგან დენთის ან სისხლის ნიმუშის დაუყოვნებლივ აღება). არსებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს გადაუდებელი აუცილებლობისას (112-ე მუხლის მეხუთე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას) განჩინების გარეშე ნიმუშის აღების შესაძლებლობას, რაც პრაქტიკაში ქმნის პრობლემას, ვინაიდან ხდება მნიშვნელოვანი მტკიცებულებების განადგურება.

219-ე მუხლის ცვლილებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრდეს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ, თუმცა, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ. აღნიშნული პრაქტიკაში წარმოშობს პრობლემას, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში წინასასამართლო სხდომაზე სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველს სწორედ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობა წარმოადგენს. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მხარის საჩივრის განხილვისას არ მსჯელობს რამდენად სწორი იყო წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობაზე და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილებას აფასებს მხოლოდ წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ დაშვებული მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთან, მხარე მოკლებულია შესაძლებლობას გაასაჩივროს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის

გადაწყვეტილება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ იმ შემთხვევაშიც, როცა წინასასამართლო სხდომის მოსამართლე საქმეს გადასცემს არსებითი განხილვისათვის, მაშინ როცა დაუშვებლად ცნობილ მტკიცებულებას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს განაჩენის გამოტანისათვის.

330-ე მუხლის ცვლილებაზე

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 330-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის ამოღებით იცვლება დღეის მდგომარეობით ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნებულ დანაშაულთა წრე. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯადობა აღარ მოიცავს „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებული თანამდებობის პირის, რომელსაც ეკავა ან უკავია შესაბამისი თანამდებობა და იმ პირის ბრალდების საქმეებს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულის ჩადენაში ზემოაღნიშნულ პირთან ერთად და ზემოაღნიშნულ პირთა ბრალდების საქმეებზე გავრცელდება სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის საპროცესო კოდექსით დადგენილი ზოგადი ნორმები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული ცვლილებების განხორციელება განაპირობა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადი სისხლის სამართლის საქმეების დიდმა რაოდენობამ და ნაფიცი მსაჯულთა შერჩევის პროცედურის პრაქტიკულმა პრობლემებმა.

პრაქტიკამ გამოავლინა გარკვეული რისკები ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ნაფიც მსაჯულთა განსჯადობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვას აჭიანურებს შერჩევის პროცედურა. სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ შერჩევის სხდომაზე ცხადდება კანდიდატთა 50%-მდე, რაც არასაკმარისი რესურსია ობიექტურ მსაჯულთა შესარჩევად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაფიც მსაჯულთა შესარჩევად სასამართლოს უხდება დამატებით შერჩევის რამოდენიმე სხდომის ჩატარება, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ფინანსურ, ადამიანურ და დროის დანახარჯებთან. დღეის მდგომარეობით, სასამართლოების წარმოებაშია არაერთი სისხლის სამართლის საქმე, სადაც ბრალდებულთა მიერ განხორციელდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევა, თუმცა ჭიანურდება შერჩევის პროცესი, მაშინ როცა აღნიშნულ საქმეებზე წინასასამართლო სხდომები გაიმართა რამოდენიმე თვის წინ. აღნიშნული გარემოება კი იწვევს კანონმდებლობით დადგენილი ყველანაირი გონივრული ვადის დარღვევას და უმეტეს შემთხვევაში ხდება 9 თვიანი საპატიმრო

ვადის გასვლა, რაც იწვევს პირის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გაუქმებას და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის ბრალდებული პირი რჩება აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალურია იმ ფონზე, რომ საკმაოდ დიდია ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობას დაქვემდებარებული საქმეების ოდენობა.

აღნიშნული პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა საკონსტიტუციო სასამართლის 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილების შემდეგ, რომლითაც არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმა, რომლის მიხედვით მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამოქმედებამდე დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის საქმეებზე, არ ვრცელდება ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ რაოდენობრივად, მნიშვნელოვნად გაზარდა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის ქვეშ მოსაქცევი საქმეების ოდენობა.

დღეის მდგომარეობით, სასამართლო სისტემის წარმოებაშია ათეულობით სისხლის სამართლის საქმე, რომლებზეც სისხლისამართლებრივი დევნა დაწყებულია ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების პერიოდში, თუმცა მათი განხილვა დღემდე დასრულებული არ არის, განსასჯელებს კი ეკავათ ის თანამდებობა, რაც მათ აძლევს საშუალებას ისარგებლონ ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს უფლებით. ამ საქმეებს რაოდენობრივად ემატება ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იურისდიქციის ქვეშ მოქცეული თანამდებობის პირების ბრალდების საქმეები. ორივე კოდექსის იურისდიქციის ქვეშ მოქცეული პირების მიერ აღნიშნული უფლებით სარგებლობა გამოიწვევს სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპის სრულ დაუცველობას და სასამართლო პროცესების წლების განმავლობაში გაჭიანურებას მათი სიმრავლის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესარჩევ კანდიდატთა სიმცირე, არაძალადობრივი დანაშაულის განხილვისას მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის აღებისათვის მოუმზადებლობა და თანამდებობის პირთა ბრალდების საქმეების სიმრავლე, ქმნის იმ პრაქტიკულ პრობლემათა ჯაჭვს, რაც საბოლოოდ პრობლემად ყალიბდება, ეს კი ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების სწრაფად და ეფექტურად განხორციელების პრინციპს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

პროექტის მიღება არ მოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის თანახმად, სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ფინანსურ შედეგებს არ იწვევს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

ასეთი არ არსებობს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, თამაზ ავდალიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები: მანანა კობახიძე, დავით საგანელიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, პაატა კიკნაველიძე.